## „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 08.06.2012, სარეგისტრაციო კოდი: 470070000.05.001.016760) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლის:

ა) „რ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა ბრუნვა – ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შემცველ მცენარეთა დათესვა, მოყვანა, კულტივირება, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა შექმნა, წარმოება, მომზადება, დამზადება-გადამუშავება, შენახვა, გადაგზავნა, გადაზიდვა (გადატანა), რეალიზაცია (საცალო და საბითუმო), განაწილება, შეძენა, გადაცემა, უკანონო რეალიზაცია, ჩაბარება, გამოყენება, მოხმარება, განადგურება, შემოტანა, გატანა, იმპორტი, ექსპორტი, ტრანზიტი, რეექსპორტი;“;

ბ) „წ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„წ) გადაცემა – სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით გადაცემა მატერიალური სარგებლის მიღების მიზნის გარეშე;“;

გ) „წ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$წ^1$“ ქვეპუნქტი:

„$წ^1$) უკანონო რეალიზაცია – სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით გადაცემა ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ;“.

2. №1 დანართით გათვალისწინებული III სიის ცხრილს დაემატოს შემდეგი შინაარსის 68-ე–70-ე გრაფები:

„

| | | |
|---|---|---|
| 68 | გაბაპენტინი<br><br>Gabapentin | 2-[1-(aminomethyl)cyclohexyl]acetic acid |
| 69 | ბაკლოფენი<br><br>Baclofen | 4-amino-3-(4-chlorophenyl)butanoic acid |
| 70 | ტრიჰექსიფენიდილი (ციკლოდოლი)<br><br>Trihexyphenidyl (Cyclodol) | 1-cyclohexyl-1-phenyl-3-piperidin-1-ylpropan-1-ol |

“.

3. №2 დანართის:

ა) ცხრილით გათვალისწინებული ჩამონათვალის „ნარკოტიკული საშუალებები“:

ა.ა) 29-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 29 | ბუპრენორფინი | 0,0012 | 0,012 | 0,03 |

“;

ა.ბ) 73-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 73 | მცენარე კანაფი | 10 | 155 | 750 |

“;

ა.გ) 82-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 82 | კოკაინი (ფუძე და მარილები) | 0,06 | 0,6 | 2 |

“;

ა.დ) 92-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 92 | მარიხუანა<br>– გამომშრალი<br>– ნედლი | <br>5<br>10 | <br>70<br>140 | <br>250<br>500 |

“;

ა.ე) 153-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 153 | პსილოციბინის ან პსილოცინის შემცველი სოკოს ნებისმიერი სახეობა | 0,5 | 5 | 20 |

“;

ა.ვ) 189-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 189 | ჰეროინი | 0,005 | 0,2 | 0,5 |

“;

ბ) ცხრილით გათვალისწინებული ჩამონათვალის „ფსიქოტროპული ნივთიერებები“:

ბ.ა) 23-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 23 | კეტამინი | 0,1 | 1 | 3 |

“;

ბ.ბ) 51-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 51 | პრეგაბალინი | 0,6 | 6,0 | 20 |

“;

ბ.გ) 67-ე გრაფის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 68-ე–70-ე გრაფები:

„

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 68 | ბაკლოფენი | 0,01 | 0,1 | 0,5 |
| 69 | გაბაპენტინი | 0,3 | 3 | 15 |
| 70 | ტრიჰექსიფენიდილი (ციკლოდოლი) | 0,002 | 0,2 | 1 |

“;

გ) შენიშვნების:

გ.ა) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ამ ნუსხით გათვალისწინებულ ფსიქოტროპულ ნივთიერებათა ჩამონათვალს მიეკუთვნება მხოლოდ სუფთა ნივთიერებები (სუბსტანციები) და არა მათი წამლის ფორმები, გარდა ფსიქოტროპული ნივთიერებების – თიანეპტინის, პრეგაბალინისა და კეტამინის – წამლის ფორმებისა.“;

გ.ბ) მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის $260^3$ მუხლის მიზნებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას იწვევს ფსიქოტროპული ნივთიერებების – გაბაპენტინის, ბაკლოფენისა და ტრიჰექსიფენიდილის (ციკლოდოლის) – როგორც სუფთა ნივთიერებების (სუბსტანციების), ისე წამლის ფორმების უკანონო რეალიზაცია.“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

**საქართველოს პრეზიდენტი** **მიხეილ ყაველაშვილი**

**თბილისი,**

16 აპრილი 2025 წ.

N505-IIმს-XIმპ